



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 189/ს  
08/07/2022

189-21-4-202207081814



**გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ლეგომეტალის“ ალუმინის  
ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების  
ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება)  
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ლეგომეტალის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია ფიზიკური პირი გიული დარციმელიას მიერ.

2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-320 (12.04.2019) ბრძანებით შპს „ლეგომეტალის“ (ს.კ. 205282362) ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ხოლო 2021 წლის 11 ივნისის N2-856 ბრძანების საფუძველზე შპს „ლეგომეტალზე“ (ს.კ. 205282362) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ლეგომეტალს“ (ს.კ. 400290608).

2021 წლის 16 დეკემბერს შპს „ლეგომეტალის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის

ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N8, 24.02.2022; ბრძანება N 2-151, 01.03.2022).

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ობიექტზე უკვე მოწყობილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული მბრუნავი (როტორული) ღუმელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. განხილულია არაქმედების ალტერნატივა, სადნობი ღუმელისა და მტვერგამწმენდი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები და ტექნოლოგიური ალტერნატივები. დოკუმენტაციის თანახმად, არაქმედების ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში, არ არის მოსალოდნელი არსებულ გარემოზე ზემოქმედების ცვლილება. არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა დაგეგმილი წარმოებით მოსალოდნელი დადებითი ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს გააჩნია მაღალეფექტიანი მტვერდამჭერი სისტემა, შესაბამისად, სხვა ალტერნატიული ვარიანტები არ განხილულა. ვინაიდან, პროექტი ეხება არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და აღნიშნული არ გულისხმობს ახალი ტერიტორიების ათვისებას, ადგილმდებარეობის ალტერნატიულ ვარიანტად დოკუმენტში განხილულია მხოლოდ არსებული ტერიტორია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმო მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში, შპს „ლ. კაპიტალის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5007 მ<sup>2</sup> ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.10.38.050), რომლითაც შპს „ლეგომეტალი“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-501787.76, Y-4615999.72; X-501827.93, Y-4616010.63; X-501857.42, Y-4615894.12; X-501817.03, Y-4615883.22. ობიექტს დასავლეთით 180 მეტრში ესაზღვრება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, ხოლო 300 მეტრში მდ. ლოჭინი. საწარმოს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 650 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ წარმოდგენილია კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, უშუალოდ საწარმოს დასავლეთით ესაზღვრება უქანგავი ფოლადის (ღვინის საცავების) დამამზადებელი საწარმო (ს/კ: 81.10.38.102 და 81.10.27.928), ხოლო აღმოსავლეთით მდებარეობს შპს „ანიგოზის“ საკუთრებაში განთავსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.38.043), სადაც განთავსებულია კაკლის გადამამუშავებელი საამქრო, ასევე შპს „მოსურნე ვაინერის“ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.27.978) და ავტომობილების ტექ. მომსახურეობის ობიექტი (ს/კ 81.10.38.047).

გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, საწარმოს ძირითად პროდუქციას წარმოადგენს ალუმინის ჯართისგან დნობის საშუალებით მიღებული ალუმინის სხმულები. საწარმოში ალუმინის ჯართის შემოტანა ხდება ფერადი ლითონების

ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან. ალუმინის ნადნობის ფილების მიღების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს: ნედლეულის (ალუმინის ჯართის) მიღება-დასაწყობება; ალუმინის ჯართის მასიდან ალუმინის სხვადასხვა სახის ნაწარმის გამოყოფა; სადნობი ლუმელების მომზადება; სადნობი ლუმელების სწორი ექსპლუატაციის უზრუნველყოფა; ალუმინის ნადნობის ჩამოსხმა ლითონის სპეციალურ ყალიბებში; პირველადი დნობისას მიღებული წიდის გადამუშავება (დაფქვა ბურთულებიან წისქვილებში); დაფქვილი წიდის საცერში გაცრა მასში არსებული რკინის ლითონების გამოსაყოფად; დაფქვილი და ლითონგაცლილი წიდის დნობა ე.წ „ტიგელის“ ტიპის ლუმელებში; პროდუქტის მზა პროდუქციის საწყობში განთავსება; პროდუქციის მარკირება და ტრანსპორტირება დანიშნულების შესაბამისად.

საწარმოში წარმოდგენილია ჯართის გადასარჩევი და დამუშავების უბანი (დაპრესვა საპრეს დანადგარებში (3 ერთეული)), ასევე სადნობი უბანი. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სადნობ უბანზე გამოიყენება ძირითადი სადნობი ლუმელი და 3 წიდის გადამამუშავებელი სადნობი ე.წ „ტიგელი“. ძირითადი ლუმელის წარმადობაა 0.7 ტ/სთ-ში, ხოლო „ტიგელის“ ლუმელებში 500 კგ ნადნობის მიღება ხდება 24 სთ-ში. ლუმელი მუშაობს ბუნებრივ აირზე. ძირითად ლუმელში დღე-ღამეში შესაძლებელია 3 ციკლის ჩატარება და 19,726 ტონა (7200 ტ/წელ) ალუმინის ჯართისგან - 16.8 ტონა (6132 ტ/წელ) ალუმინის სხმულის წარმოება, საიდანაც ასევე მიიღება 2.7 ტ (985.5 ტ/წელ) ალუმინის შემცველი წიდა. ლუმელი მუშაობს 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 დღეს. ძირითად ლუმელში ალუმინის ჯართის დნობის შემდეგ ხდება მიღებული წიდის გადამუშავება. პირველ ეტაპზე წიდა იფრქვევა 3 ბურთულიან წისქვილში (რომლის წარმადობაა - 300 კგ წიდის დაფქვა 5 საათის განმავლობაში). აღნიშნული წისქვილები უზრუნველყოფს დღეში 2,7 ტონამდე წიდის გადამუშავებას, თითოეული წისქვილი დღეში ატარებს სამ ციკლს და მუშაობს 15 საათის განმავლობაში. წისქვილებიდან გამოყოფილი აირმტვერნარევი იწმინდება მტვერდამჭერ სისტემაში, კერძოდ ციკლონში 70%-იანი ეფექტურობით და შემდგომ ციკლონის თავზე დამონტაჟებულ ქსოვილის ფილტრში, რომლის ეფექტურობა არანაკლებ 99%-ის ტოლია.

დაფქვილი წიდა, შემდგომ ეტაპზე გაივლის საცერ დანადგარს (საათში იცრება 200 კგ წიდის გაცრა, წიდისგან ლითონის გამოყოფის მიზნით). დღეში საშუალოდ 2700 კგ წიდის გადამუშავებით მიიღება 1200 კგ (438 ტ/წელ) ლითონის ჯართი და 1500 კგ (547.5 ტ/წელ) ალუმინის შემცველი დაფქვილი წიდა. დაფქვილი და გაცრილი წიდის გადადნობა ხდება ე.წ „ტიგელის“ ტიპის ლუმელებში (სულ 3 ერთეული, საიდანაც ერთი სარეზერვოა). თითოეულ ლუმელში იყრება 750-800 კგ წიდა, დნობა მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში, რის შედეგადაც მიიღება 500 კგ ალუმინის სხმულები და 200 კგ წიდა, რომელიც შემდგომი გადამუშავებისათვის არ გამოიყენება. ორივე ლუმელში წელიწადში ხდება 365 ტონა ალუმინის ნადნობი სხმულის და 146 ტონა წიდის მიღება. აღნიშნული ლუმელების თავზე დამონტაჟებულია ქოლგები, 8 მეტრი სიმაღლისა და 0.5 დიამეტრის გამწოვი მილით.

დადგენილი ტექნოლოგიური ციკლის განხორციელების შედეგად მიღებული ალუმინის ლითონის გამდნარი მასა ისხმება თუჯის ყალიბებში, სპეციალურად მოწყობილ ნახევრად ავტომატურ კონვეიერზე. პროდუქციის შენახვა ხდება მზა პროდუქციის საწყობში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საწარმოში დაგეგმილია არსებულ ძირითად ღუმელს დაემატოს ერთი მბრუნავი (როტორული) ღუმელი, რომლის მუშაობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი შეერთებული იქნება უკვე არსებულ ძირითადი სადნობი ღუმელის გამწმენდ სისტემაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმოში წარმოქმნილი წიდის გადამუშავებისათვის არსებული დანადგარები (ბურთულებიან წისქვილი; დაფქვილი წიდის საცერი, მასში არსებული რკინის ლითონების გამოსაყოფად) და „ტიგელის“ ღუმელები ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ აღარ იფუნქციონირებენ. მბრუნავი (როტორული) ჰიდრავლიკური ღუმელის მაქსიმალური დნობის ტემპერატურა შეადგენს 900 °C-ს (ღუმელს აქვს 3 ფაზიანი დენის წყარო და ასევე მოიხმარს ბუნებრივ აირს). 1 საათში ნედლეულის დნობის საშუალო რაოდენობა შეადგენს 1 ტონას. 24 საათში დაახლოებით 12 ტ ფერადი ლითონის ჯართის დნობისას მიღებული სხმულის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 9 ტონას. აღნიშნულ ღუმელში დღე-ღამეში შესაძლებელია მაქსიმუმ 6 ციკლის (დნობის) ჩატარება, საიდანაც თითო დნობის საშუალო დრო 2 საათს შეადგენს. დანადგარის მაქსიმალური ტევადობაა 2 ტონა და მიიღება 1.5 ტონა სხმული (0.75 ტ/სთ).

ალუმინის ჯართის დნობისას წარმოქმნილი წიდის ხელახალი გამოდნობა მოხდება მბრუნავ (როტორულ) ღუმელში. ხოლო წიდის გადამუშავების უბანი (1000 მ<sup>2</sup> ფართობი) მთლიანად გამოყენებული იქნება საწარმოში წარმოქმნილი წიდის დასაწყობებისათვის. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად მბრუნავ (როტორულ) ღუმელში მონაცვლეობით რეჟიმში მოხდება, როგორც ალუმინის ჯართისა და წიდის, ასევე სპილენძისა და თუთიის ჯართის გამოდნობა. შესაბამისად, მიიღება ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულები.

საწარმოში ამჟამინდელი წარმადობის მიხედვით წელიწადში 7200 ტონა ალუმინის ჯართის გადამუშავებით (გადადნობით) მიიღება 6497 ტ ალუმინის სხმული, 146 ტ წიდა და 438 ტ ლითონის ჯართი, ხოლო ღუმელი მუშაობს 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 დღეს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ, საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა და გრაფიკი უცვლელი რჩება. დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული ღუმელი წლიური სამუშაო დროის მესამედს (წელიწადში 2920 საათი) არ იმუშავებს და აღნიშნულ პერიოდში ალუმინის, სპილენძისა და თუთიის სხმულების წარმოება მოხდება მბრუნავ (როტორულ) ღუმელში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ მაქსიმალური წარმადობა იქნება: ალუმინის წარმოებისას 1.45 ტ/სთ (7227 ტ/წელ); სპილენძის სხმულების წარმოებისას 0.75 ტ/სთ (1095 ტ/წელ), ხოლო თუთიის სხმულების წარმოებისას 0.75 ტ/სთ (1095 ტ/წელ), რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება შემდეგი: ალუმინის ჯართი 8660 ტ/წელ, სპილენძის ჯართი 1460, თუთიის ჯართი 1460 ტ/წელ.

გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს მამტაბით ხდება შექმნა პირველადი სახის ალუმინის, სპილენძის და თუთიის ჯართის, რომლის ტრანსპორტირება ხორციელდება კომპანიის მიერ, კუთვნილი ავტოტრანსპორტით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა ძირითადად ხორციელდება დღის საათებში, ხოლო ტრანსპორტირებისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების მაქსიმალური რაოდენობა დღის განმავლობაში 2-3 იქნება. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირება ხორციელდება კახეთის გზატკეცილის გამოყენებით და შემდგომ

სოფელ მარტყოფისაკენ მიმავალი გზით. აღნიშნული მარშრუტი არ გადის დასახლებულ ტერიტორიას და მთლიანად წარმოადგენს ასფალტირებულ გზას, გარდა საწარმოში მისასვლელი შიდა გზისა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის შემოტანა ხდება ავტოცისტერნებით და ინახება წყლის ორ, თითოეული 20 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე ავზში. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა წელიწადში შეადგენს 821.25 მ<sup>3</sup>-ს. ტექნიკური მიზნებისათვის წყალი გამოიყენება ალუმინის სადნობი ძირითადი ღუმელის გაციების ბრუნვით სისტემაში (სადაც წყლის რაოდენობა 5 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს). მბრუნავ სისტემაში წყლის დანაკარგების შევსება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული რეზერვუარებიდან, საიდანაც თითოეულის მოცულობა შეადგენს 20 მ<sup>3</sup>-ს (სულ 40 მ<sup>3</sup>). წყლის დანაკარგების შევსებისათვის ასევე გამოყენებული იქნება სანიაღვრე წყლები, რომლებიც იკრიბება (2.3 მ<sup>3</sup> მოცულობის) ბეტონის ორ ორმოში. დღე-ღამეში წყლის დანაკარგების შევსებისათვის საჭიროა 3 მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო წელიწადში 1095 მ<sup>3</sup>. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები (739.125 მ<sup>3</sup>/წელ) იკრიბება შიდასაკანალიზაციო სისტემით, რომელიც უერთდება საწარმოს ტერიტორიაზე ბეტონის ამოსაწმენდ ორმოს. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოო პროცესი მიმდინარეობს გადახურულ შენობაში, შესაბამისად სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. გზმ-ის ანგარიშის შესაბამის თავებში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: მყარი ნაწილაკები (მტვერი), ალუმინის ოქსიდები, სპილენძის ოქსიდი, თუთიის ოქსიდი, ტყვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი, ნიკელი, აზოტის ორჟანგი, გოგირდის ორჟანგი და ნახშირჟანგი. გზმ-ის ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 3 წყარო, მათ შორის: სტაციონარული და მბრუნავი ღუმელი, ლითონის ჯართის საწყობი და წიდის საწყობი. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია მბრუნავი (როტორული) ღუმელის მუშაობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი შეერთება არსებულ (ძირითადი სადნობი ღუმელის) გამწმენდ სისტემაზე. ძირითადი სადნობი და მბრუნავი (როტორული) ღუმელებიდან გამომავალი აირები სავენტილაციო მილების საშუალებით მიერთებულია გამაციებელ სისტემაზე, შემდგომ აირები იფილტრება სახელოებიან ფილტრებში და 18 მ სიმაღლის, 0.5 მ დიამეტრის მილით გაიფრქვევა ატმოსფეროში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სახელოებიან ფილტრების წარმადობა შეადგენს საათში 12000 მ<sup>3</sup>-ს. გაწმენდის ეფექტურობაა არანაკლებ 99.5%. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში განხორციელდა სამ ვარიანტად, მბრუნავ (როტორულ) ღუმელში მონაცვლეობით

ალუმინის, სპილენძისა და თუთიის გამოდნობის რეჟიმებისთვის. ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონად გათვალისწინებულ იქნა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევები ახლომდებარე შპს „ანიგოზის“ კაკლის გადასამუშავებელი საამქროდან, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს საწარმოდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს მოსახლესთან (650 მ) მიმართებით. შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. უნდა აღინიშნოს, რომ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დამონტაჟებული დანადგარების, გამწოვი სისტემების, კომპრესორისა და სხვა მოწყობილობების მიერ გამოწვეული ხმაურის დონე შეადგენს 90 დბა-ს. დოკუმენტის მიხედვით, ხმაურის დონე საწარმოდან 100 მეტრში ნორმაზე ნაკლებია როგორც დღის, ასევე ღამის საათებისათვის. ამასთან, დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტის მიმართულებით არსებული შენობა-ნაგებობები ასევე წარმოადგენენ ხმაურის შემამცირებელ ბარიერს. ამასთან საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები (დაახლოებით 51.9 მ<sup>3</sup>/წელი) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმოს ტერიტორიიდან პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ, ფერადი ლითონის ჯართის დნობისას წარმოქმნილი წიდის წლიური რაოდენობა იქნება დაახლოებით 1370 ტ, რომელთა მეორადი დნობის შემდეგ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მათში ალუმინის შემცველობა. წიდის სასაწყობო ტერიტორიაზე განთავსებულია 3000 ტონამდე წიდა, რომელშიც ასევე შემცირდება ალუმინის შემცველობა, მათი მეორადი გამოდნობის შედეგად. ექსპლუატაციის ეტაპზე მტვერდამჭერში დაჭერილი მასა და წარმოქმნილი წიდა დასაწყობებული იქნება საწარმოს შენობაში, წიდის დასაწყობებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თუ საქართველოში იფუნქციონირებს წიდას მიმღები და გადამამუშავებელი ორგანიზაცია, სამომავლოდ დაგეგმილია წიდას მათთვის გადაცემა შემდგომი მართვის მიზნით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ისეთი ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება მეორად გადამამუშავებას (მაგალითად: საბურავები, რეზინის ნაკეთობები, ცელოფანი, შესაფუთი მასალები და სხვ.), გადაეცემა გადამამუშავებაზე შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვ.) შემდგომი მართვის მიზნით ასევე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში არ განხორციელდება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემოტანა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით ესაზღვრება უჟანგავი ფოლადის (ღვინის საცავების) დამამზადებელი საწარმო, ხოლო აღმოსავლეთის

მდებარეობს შპს „ანიგოზის“ კაკლის გადამამუშავებელი საამქრო, ასევე ავტომობილების ტექ. მომსახურების ობიექტი. შესაბამისად მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე, როგორც ზემოთ იყო განხილული არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე განთავსდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები გამოქვეყნდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 7 ივნისს 13:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის და შპს „ლეგომეტალის“ წარმომადგენლები, გზშ-ის ანგარიშის შემდგენელი პირი, ასევე სოფ. მარტყოფის წარმომადგენელი და დაინტერესებული მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა საწარმოში წარმოქმნილი წიდის მართვის, ასევე ობიექტის დასახლებულ პუნქტთან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან სიახლოვის საკითხებზე. ასევე დამსწრე საზოგადოება დაინტერესდა შესრულებული აქვს თუ არა შპს „ლეგომეტალის“ საწარმოო ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი მოთხოვნები. დამსწრე საზოგადოების კითხვებს უპასუხეს გზშ-ის ანგარიშის შემდგენელმა პირმა, შპს „ლეგომეტალის“ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, ასევე I დანართის მე-6 პუნქტის და II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ლეგომეტალის“ ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ალუმინის, სპილენძის და თუთიის სხმულების წარმოება);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ლეგომეტალმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ლეგომეტალმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სამინისტროსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ლეგომეტალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს მტვერდამჭერ სისტემაში დაჭერილი მტვრის შემდგომი მართვის საკითხების, მათ შორის მტვრის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
6. შპს „ლეგომეტალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
7. შპს „ლეგომეტალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპისთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით გათვალისწინებული იქნება საწარმოს



ტერიტორიაზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით);

8. შპს „ლეგომეტალმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
9. შპს „ლეგომეტალმა“ აწარმოოს ტექნიკური დანადგარების გამართულობაზე მუდმივი კონტროლი;
10. შპს „ლეგომეტალმა“ უზრუნველყოს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის და საწარმოს ტერიტორიის მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად;
11. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლეგომეტალს“;
13. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლეგომეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
15. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო